2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიში

შინაარსი 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო 3

საარჩევნო კანონმდებლობა 4

საარჩევნო ადმინისტრაცია 5

საარჩევნო სუბიექტები 7

ამომრჩეველთა სია 9

არჩევნების მონიტორინგი და მედია 10

წინასაარჩევნო პროცესი 11

არჩევნების დღე 11

საჩივრების განხილვა 12

საარჩევნო კამპანიის ხარჯები 12

არჩევნების შედეგების დამუშავება 13

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა 14

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 1 აგვისტოს №01/08/02 განკარგულებით 2012 წლის 1 ოქტომბერს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები.

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პარალელურად გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას, აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას და ასრულებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 დეპუტატისაგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი კანონით დადგენილი წესით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) დადგენილებები ქმნიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობას.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ადგენს, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საარჩევნო დავის განხილვის წესს.

ცესკოს და უსკოს დადგენილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომლის მიღებაც შეიძლება მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. დადგენილების მიღება შეიძლება აგრეთვე გამონაკლის შემთხვევაში, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე, თუ აუცილებელი აღმოჩნდა კანონით განუსაზღვრელი და არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი საკითხების გადაჭრა.

დადგენილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ცალკეული საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციაც, რომელიც არ უნდა შეიცავდეს კანონით დადგენილისგან განსხვავებულ ან ახალ ნორმას და რომელიც შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურის დაწვრილებით აღწერას.

უსკოს დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის 2/3 მაინც. დადგენილებას ხელს აწერენ უსკოს შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. უსკოს დადგენილება ძალაში შედის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებისთანავე, თუ თვით ამ დადგენილებით უფრო გვიანი ვადა არ იქნა განსაზღვრული.

ამასთანავე, საარჩევნო კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილებად ითვლება საარჩევნო ადმინისტრაციის, კერძოდ კი ყველა დონის კომისიებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ გამოცემული განკარგულებები და ამავე კომისიათა კენჭისყრის/არჩევნების შემაჯამებელი ოქმები, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, რომელთა გამოცემისა და მომზადების წესებიც განსაზღვრულია

საარჩევნო კოდექსით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით, ცესკოს და უსკოს შესაბამისი დადგენილებებით.

საარჩევნო ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესი განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, ხოლო უფლებამოსილება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:
ა) უსკოსა და მისი აპარატისგან;
ბ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
გ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა უმაღლესი საარჩევნო კომისია, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია ასრულებს საარჩევნო კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას და კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა ასარჩევად საყოველთაო არჩევნების ჩატარებას, არჩევნებში მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელებას. საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას.

საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. საარჩევნო კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები არიან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები.

საარჩევნო კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და წევრებისაგან.

უსკო შედგება თავმჯდომარისა და 5 წევრისაგან, ხოლო საარჩევნო პერიოდში თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან. უსკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის უსკოს წევრი. უსკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად იწვევს მისი წევრობის შეწყვეტას. უსკოს თავმჯდომარეს და 5 წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი საბჭო, ხოლო უსკოს 7 წევრს საარჩევნო პერიოდში ნიშნავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის განმავლობაში. უსკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით, გარდა ამ კანონით განსაზღვრული წესით პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისა, რომელთა უფლებამოსილების ვადაც განისაზღვრება არჩევნების დანიშვნიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით, ხოლო შუალედური/ხელახალი არჩევნების შემთხვევაში კი არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებისას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარება უსკოს.

ვინაიდან, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებდნენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები შედგება 13-13 წევრისაგან, რომლებსაც საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით ნიშნავენ/ირჩევენ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სუბიექტები.

საარჩევნო სუბიექტები

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 17 პოლიტიკურმა გაერთიანებამ, მათგან სამ პარტიას (პ/გ „ხალხის პარტია“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ და პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, შემდგომი რეგისტრაციის მიზნით, დადგენილ ვადაში უნდა წარმოედგინა აჭარის ავტონომიური რსპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3 000 მხადამჭერთა ხელმოწერები, რისთვისაც მათ გადაეცათ მხარდამჭერთა სიის ნიმუში.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სამივე პოლიტიკურმა გაერთიანებამ კანონით დადგენილი რაოდენობის ხელმოწერები წარმოადგინეს დადგენილ ვადაში.

უსკოს შესაბამისი სამსახურის მიერ კანონით დადგენილ ვადაში შემოწმებული იქნა მხარდამჭერთა სიები. მხარდამჭერთა სიების შემოწმების პროცესს ესწრებოდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი. მხარდამჭერთა სიების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პ/გ „ხალხის პარტია“ და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მიერ წარმოდგენილი მხარადმჭერთა სიები აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს და გატარებული იქნენ რეგისტრაციაში, ხოლო პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“-ს მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერთა სიები არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს, რაზედაც მიეცა ხარვეზი. პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“-მ ხარვეზი გამოასწორა დადგენილ ვადაში და გატარებული იქნა რეგისტრაციაში.

საარჩევნო დოკუმენტაციის (განცხადებების) და მხარდამჭერთა სიების შემოწმების შედეგად საარჩევნო რეგისტრაცია გაიარა 17-მა პოლიტიკურმა პარტიამ.

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შეიქმნა 2 საარჩევნო ბლოკი. 5 პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობდა არჩევნებში, ხოლო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდა 4 პოლიტიკურ გაერთიანებას - „სახალხო მოძრაობა“-ს, „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“ და „ხალხის პარტია“-ს იმ საფუძვლით, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიტიკურმა გაერთიანებებმა არ წარმოადგინეს პარტიული სია, ხოლო პ/მ „დემოკრატიული სიმართლის პარტიამ“ უარი განაცხადა უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე.

<u>საარჩევნო ბლოკები</u>

1. „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“;
2. „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“.

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“-ში გაერთიანდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:

1. პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
2. პ/გ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“;
3. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
4. პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
5. პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“;
6. პ/გ „ეროვნული ფორუმი“.

საარჩევნო ბლოკ „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“-ში გაერთიანდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:

1. პ/გ „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა“;
2. პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

<u>არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები:</u>

1. პ/გ „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;
2. პ/გ „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
3. პ/გ „ახალი მემარჯვენეები“;
4. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“;
5. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულმა ყველა საარჩევნო სუბიექტმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარადგინა საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, თითო - თითო მაჟორიტარი კანდიდატი, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი ყველა მაჟორიტარი კანდიდატი გატარებული იქნა საარჩევნო რეგისტრაციაში, მათგან №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში პ/გ „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მიერ წარდგენილმა მაჟორიტარმა კანდიდატმა უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არ დარეგისტრირებულა საინიციატივო ჯგუფის განცხადება, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის შესახებ.

პროპორციული საარჩევნო სისტემით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 167 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, მაჟორიტარული სისტემით კი 41 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

ამომრჩეველთა სია

უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ერთიანი სია არის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია დგება არჩევნების თარიღის გამოცხადებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილების განხორციელება ხდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით.

არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში და შემდგომ, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკო უსკოს გადასცემს ამომრჩეველთა ერთიან სიას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. უსკო თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში.

ვინაიდან, 2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს პარლამენტის არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული საერთო არჩევნებისათვის ფორმირებული ამომრჩეველთა ერთიანი სია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, წარმოადგენდა უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიან სიას.

არჩევნების მონიტორინგი და მედია

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან უსკოში, ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ვინაიდან, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს არჩევნები ერთდროულად გაიმართა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვებისათვის, თუ ისინი რეგისტრირებული იყვნენ ცესკოში, დამატებით უსკოში რეგისტრაცია არ სჭირდებოდათ. შესაბამისად, ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივი და საერთაშორის ორგანიზაციების დამკვირვებლებს, ჰქონდათ უფლება დაკვირვება განეხორციელებინათ როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე, ხოლო თუ ცესკოში რეგისტრიტრბულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ექნებოდათ სურვილი დაკვირვება უშუალოდ უსკოში განეხორციელებინათ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, მათ უფლება ჰქონდათ განცხადებით მოემართათ უსკოს მდივნისათვის დამკვირვებლების უსკოში დანიშვნის შესახებ.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) წარმოება და საინფორმაციო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესითა და დადგენილი ვადებით, იმ პირობით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა მაუწყებლებისათვის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებული უფასო საეთერო დროის გამოყოფის ვალდებულებები შესაბამისად, ვრცელდება იმ მაუწყებლებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე, რომელთა სათავო ოფისებიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთობლივად ჩატარების შემთხვევისა.

მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამებისათვის საეთერო დროის გამოყოფის კონტროლს ახორციელებდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. მაუწყებელი ვალდებული იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის ყოველკვირეულად გადაეცა ინფორმაცია რომელი რიცხვიდან

რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი და გაწეული მომსახურება.

წინასაარჩევნო პროცესი

საზოგადოების ინფორმირების მიზნით უსკომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია განახორციელა. მომზადდა სოციალური-საინფორმაციო ტიპის სატელევიზიო რეკლამები, ასევე დამზადდა საინფორმაციო ფლაერები ამომრჩეველთათვის, საინფორმაციო რეკლამები განთავსდა რეგიონის ტელევიზიებში, კერძოდ აჭარის ტელევიზიასა და კერძო ტელეკომპანია ,,TV-25“-ზე, ასევე განთავსდა უსკოს ვებ-გვერდზე.

არჩევნების დღე

2012 წლის 1 ოქტომბერს 07:00 საათზე გაიხსნა ყველა საარჩევნო უბანი, ხოლო 08:00 საათზე შეუფერხებლად დაიწყო კენჭისყრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ექვსივე საარჩევნო ოლქში შემავალ 351 საარჩევნო უბანზე. ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა კანონმდებლობით დადენილი წესით 20:00 საათზე. არჩევნები მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩევლებს მიეცათ სრული შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი ნება თავისუფლად და შეუფერხებლად, რაიმე სახის გართულებებს ან შეფერხებებს ადგილი არ ქონია.

უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას. კერძოდ, კენჭისყრის დღეს გაიმართა ბრიფინგი 12 საათსა და 17 საათზე, რომელზეც თავმჯდომარემ, საზოგადოებას მიაწოდა სრული ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. ხოლო 21 საათზე თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი ბრიფინგი და საზოგადოებას გააცნო 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა და მიაწოდა ინფორმაცია კენჭისყის მიმდინარეობის შესახებ.

საჩივრების განხილვა

არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოვიდა 145 განცხადება და საჩივარი, შემოტანილი საჩივრები შემდეგნაირად გადანაწილდა: უსკო – 3; საოლქო საარჩევნო კომისია – 30; საუბნო საარჩევნო კომისიები –112.

საარჩევნო კომისიებმა განიხილეს ადმინისტრაციაში შემოსული ყველა განცხადება და საჩივარი, განხილვის პროცესი მიმდინარეობდა საჯაროდ, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს საჩივრების ელექტრონული რეესტრის მეშვეობით, შეეძლო მიეღო (გაცნობოდა) ნებისმიერი ინფორმაცია.

საარჩევნო კომპანიის ხარჯები

საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ ანგარიშის წარდგენა, საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნისა და განკარგვის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი ვადებითა და დადგენილი წესით.

ვინაიდან, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა ერთდროულად, უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტი, თუ იგი ასევე მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში (გარდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისა) სარგებლობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისათვის გახსნილი საარჩევნო ფონდიდან და დამატებით უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო ფონდის გახსნა არ მოეთხოვებოდა.

პოლიტიკური პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებაზე და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

არჩევნებისათვის გამოყოფილი სახსრების ანგარიშის ფორმას და მის შევსებას განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

არჩევნების შედეგების დამუშავება

არჩევნების შედეგების დამუშავებისათვის შესაბამისი სამსახურების მიერ აიწყო და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, გაიმართა სერვერები, როგორც შედეგების გვერდისათვის, ასევე მონაცემთა ბაზებისათვის, შეიქმნა გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფა და გატარდა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალეობას.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა

საერთო სამსახური

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა 17 პოლიტიკურმა გაერთიანებამ:

1. პ/გ „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;
2. პ/გ „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
3. პ/გ „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა“;
4. პ/გ „სახალხო მოძრაობა“;
5. პ/გ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“;
6. პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
7. პ/გ „ეროვნული ფორუმი“;
8. პ/მ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“;
9. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
10. პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“;
11. პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
12. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“;
13. პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
14. პ/გ „ხალხის პარტია“;
15. პ/გ „ახალი მემარჯვენეები“;
16. პ/გ „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“;
17. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“.

იმ პოლიტიკური გაერთიანებებიდან, რომლებმაც მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას არჩევნებში მონაწილეობის მიზნით სამ პარტიას - (პ/გ „ხალხის პარტია“, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ და პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, შემდგომი რეგისტრაციის მიზნით, დადგენილ ვადაში და წესით უნდა წარმოედგინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3 000 მხადამჭერთა ხელმოწერები, რაზედაც მათ გადაეცათ მხარდამჭერთა სიის ნიმუში.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სამივე პოლიტიკურმა გაერთიანებამ კანონით დადგენილი რაოდენობის ხელმოწერები წარმოადგინეს დადგენილ ვადაში.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საერთო სამსახურის თანამშრომლების მიერ კანონით დადგენილ ვადაში შემოწმებული იქნა მხარდამჭერთა სიები. მხარდამჭერთა სიების შემოწმების პროცესს ესწრებოდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი. მხარდამჭერთა

სიების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პ/გ „ხალხის პარტია“ და მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მიერ წარმოდგენილი მხარადმჭერთა სიები აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს და გატარებული იქნენ რეგისტრაციაში ხოლო პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“-ს მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერთა სიები არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს, რისთვისაც მას მიეცა ხარვეზი. პ/გ „დემოკრატიული სიმართლის პარტია“-მ ხარვეზი გამოასწორა დადგენილ ვადაში და შესაბამისად, გატარებული იქნა რეგისტრაციაში.

საარჩევნო დოკუმენტაციის (განცხადებების) და მხარდამჭერთა სიების შემოწმების შედეგად საარჩევნო რეგისტრაცია გაიარა 17-მა პოლიტიკურმა პარტიამ.

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შეიქმნა 2 საარჩევნო ბლოკი. 5 პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობა არჩევნებში, ხოლო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდა 4 პოლიტიკურ გაერთიანებას - „სახალხო მოძრაობა“-ს, „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“ და „ხალხის პარტია“-ს იმ საფუძვლით, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიტიკურმა გაერთიანებებმა არ წარმოადგინეს პარტიული სია, ხოლო პ/მ „დემოკრატიული სიმართლის პარტიამ“ უარი განაცხადა უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობაზე.

<u>**საარჩევნო ბლოკები:**</u>

1. „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“;
2. „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“.

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“-ში გაერთიანდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:

1. პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
2. პ/გ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“;
3. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
4. პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
5. პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“;
6. პ/გ „ეროვნული ფორუმი“.

საარჩევნო ბლოკ „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“-ში გაერთიანდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:

1. პ/გ „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა“
2. პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

<u>არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები:</u>

1. პ/გ „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;
2. პ/გ „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
3. პ/გ „ახალი მემარჯვენეები“;
4. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“;
5. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულმა ყველა საარჩევნო სუბიექტმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარადგინა საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, თითო - თითო მაჟორიტარი კანდიდატი, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი ყველა მაჟორიტარი კანდიდატი გატარებული იქნა საარჩევნო რეგისტრაციაში, მათგან №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში პ/გ „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მიერ წარდგენილმა მაჟორიტარმა კანდიდატმა უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არ დარეგისტრირებულა საინიციატივო ჯგუფის განცხადება, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის შესახებ.

პროპორციული საარჩევნო სისტემით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 167 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, მაჟორიტარული სისტემით კი 41 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე საერთო სამსახურმა უზრუნველყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 11 სხდომის მომზადება და ჩატარება, ასევე მომზადდა 30 განკარგულება და 10 დადგენილება.

არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე მომზადდა თავმჯდომარის 45 და მდივნის 12 განკარგულება, დარეგისტრირდა 135 წერილი/განცხადება, მომზადდა სხვადასხვა დაწესებულებებში გასაგზავნი 97 წერილი.

იურიდიული სამსახური

არჩევნების დანიშვნის დღიდან, იურიდიული სამსახურის მიერ, გარდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით განსაზღვრული ძირითადი საქმიანობისა შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები: არჩევნებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაეწია ყველა დონის საარჩევნო კომისიებს, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ამომრჩევლებს. საარჩევნო კანონმდებლობითა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით იურიდიული სამსახურის მიერ, ასევე მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნები და განმარტებები, რომლებიც დადგენილი წესით წარდგენილი იქნა როგორც უმაღლეს საარჩევნო კომისიისათვის ასევე კომისიის ხელმძღვანელ პირებისათვის.

იურიდიული სამსახურის მიერ, როგორც დამოუკიდებლად ასევე სხვა სამსახურებთან ერთად, შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების საფუძველზე მიღებული იქნა უსკოს 10 დადგენილება და 30 განკარგულება. კერძოდ:

ეკონომიკურ სამსახურთან ერთად, მომზადდა 2012 წლის 3 აგვისტოს №3 დადგენილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრა უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი. 2012 წლის 7 აგვისტოს №6 დადგენილების პროექტი საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ფულადი სახსრების განაწილების წესის შესახებ.

მომზადდა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარის შეტანის და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცდა 2012 წლის 7 აგვისტოს №4 დადგენილებით.

2012 წლის 1 ოქტომბერს ერთდროულად ჩატარდა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთდროულად ტარდება საერთო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, აქედან გამომდინარე უმაღლესი სარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა არ მომხდარა. შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ოლქებისა და უბნების მეშვეობით. მოცემულ სიტუაციაში აუცილებელი იყო გარკვეული ტექნიკური პროცედურების დარეგულირება, როგორიცაა - საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა წრის განსაზღვრა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების გადაცემის, საარჩევნო დოკუმენტაციის დახარისხებისა და დალუქვის,

ხმის დათვლის პროცედურებისა და შემაჯამებელი ოქმების შედგენისა და გადაცემის წესის დადგენა. ასევე დასარეგულირებელი იყო გარკვეული ტექნიკური პროცედურები დამკვირვებელ ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ვინაიდან, საარჩევნო კანონმდებლობით თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, დამკვირვებელი ორგანიზაცია თუ იგი რეგისტრირებულია ცესკოს მიერ, უსკოში დამატებით რეგისტრაციას არ საჭიროებს. ამასთან არსებობდა შესაძლებლობა ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტს საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ჰქონოდა სხვადასხვა რიგითი ნომერი, რაც გარკვეულ ტექნიკურ და სხვა სახის სირთულეებს შეუქმნიდა საარჩევნო სუბიექტებს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე აუცილებელი იყო შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება.

იურიდიული სამსახურის მიერ შემუშავებული და უმაღლეს საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა დადგენილებების პროექტები. კერძოდ:

2012 წლის 7 აგვისტოს №5 დადგენილების პროექტი, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, რომლითაც დაკონკრეტდა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები და განისაზღვრა შესაბამისი ვადები.

2012 წლის 13 აგვისტოს №7 დადგენილების პროექტი, საუბნო სარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისიებს განემარტათ და განესაზღვრათ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა წრე, უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების გადაცემის, საარჩევნო დოკუმენტაციის დახარისხებისა და დალუქვის, ხმის დათვლის პროცედურებისა და შემაჯამებელი ოქმების შედგენისა და გადაცემის წესი.

2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების პროექტი, 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში და ასევე პარალელურად მონაწილეობდნენ უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნებში, შესაძლებლობა მიეცათ, ესარგებლათ იმავე რიგითი ნომრით რაც მათ მინიჭებული ჰქონდათ საქართველოს ცენტრალური კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ამასთან ამავე დადგენილებით მათ უფლება ჰქონდათ, უარი ეთქვათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებულ რიგით ნომერზე და მიეღოთ წილისყრაში მონაწილეობა სხვა რიგითი ნომრის მინიჭების მიზნით. ამავე დადგენილებით განისაზღვრა წილისყრის გამართვის

ვადები და წესი იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში.

იურიდიული სამსახურის მიერ საორგანიზაციო და კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებით სამსახურთან ერთად მომზადებული და შემუშავებული იქნა სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები, რაც შესაბამისი განკარგულებებით დამტკიცებული იქნა უსკოს მიერ, კერძოდ - მომზადებული და უსკოსათვის წარდგენილი იქნა 2012 წლის 3 აგვისტოს №5, 7 აგვისტოს №14, 13 აგვისტოს №15, 21 აგვისტოს №16 განკარგულებების პროექტები, რომლებითაც დამტკიცდა პარტიის მხარდამჭერთა სიის ბლანკის ფორმა, პარტიის/ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლობის მოწმობების ფორმები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლების მოწმობების ფორმები, პარტიის/ბლოკის პარტიული სიის ფორმები, 2012 წლის 28 აგვისტოს №20, 5 სექტემბრის №22 და 21 სექტემბრის №28 განკარგულებების პროექტები, რომლებითაც დამტკიცებული იქნა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების სადემონსტრაციო, ასევე მაჟორიტარული და პროპორციული შემაჯამებელი ოქმების ფორმები, 2012 წლის 21 აგვისტოს №17 და 21 სექტემბრის №29 განკარგულებებით დამტკიცდა საარჩევნო ბიულეტენების ფორმა და ტექსტი.

იურიდიული სამსახურის მიერ, ასევე შემუშავებული და წარდგენილი იქნა 2012 წლის 28 აგვისტოს №19 განკარგულების პროექტი, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ. აღნიშნული განკარგულებით უსკოს მიერ საარჩევნო სუბიექტებისათვის განისაზღვრა იგივე რიგითი ნომერი, რაც მათ მინიჭებული ჰქონდათ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის.

აღნიშნულ სამართლებრივ აქტებთან ერთად, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვით 2012 წლის 22 სექტემბრის №31 განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია „მოდუს ვივენდი“, რომელსაც საშუალება მიეცა არჩევნებზე დაკვირვება განეხორციელებინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ვინაიდან, უმაღლესი საბჭოს არჩევნების პარალელურად იმართებოდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ადგილობრივი, ასევე სართაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები თუ ისინი რეგისტრირებულნი იყვნენ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის აჩევნებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, ისინი უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამატებით რეგისტრაციას არ საჭიროებდნენ. არჩევნებზე დაკვირვების

განსახორციელებლად მათ უფლება ჰქონდა დაენიშნათ თავიანთი დამკვირვებლები უსკოში, შესაბამისად, 4 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ უსკოში წარდგენილი იქნა წარმომადგენლები, რომლებიც კანონმდებლობით დაგენილი წესით გატარდნენ რეგისტრაციაში.

უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე უმაღლესი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა და ქმედებათა გამო სასამართლოში არც ერთი საჩივარი არ წარდგენილა, უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით რაიმე სახის განცხადება ან საჩივარი არ დაფიქსირებულა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ განხილული იქნა სამი საჩივარი, აღნიშნული საჩივრები განუხილველად იქნა დატოვებული გასაჩივრების წესის დარღვევის გამო, მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა სასამართლო წესით.

<u>უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ განხილული იქნა შემდეგი საჩივრები:</u>

1. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

მოთხოვნა - ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლიოს 19 ოქტომბრის №16 განკარგულების ბათილად ცნობა.

საჩივრის შინაარსი - განმცხადებელმა 2012 წლის 18 სექტემბერს მიმართა განცხადებით ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 15 სექტემბრის №12 განკარგულების „გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ“ ბათილად ცნობა. აღნიშნული განკარგულება უნდა გასაჩივრებულიყო საარჩევნო კანომდებლობით დადგენილი წესით ერთი კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, განმცხადებლის მიერ კი განცხადება შეტანილი იქნა საოლქო საარჩევნო კომისიაში სამი კალენდარული დღის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, განუხილველად დატოვა განცხადება გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო.

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვეს ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 21 სექტემბრის სხდომაზე განხილული იქნა აღნიშნული საჩივარი და მიღებული იქნა განკარგულება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ვინაიდან, დარღვეული იყო გასაჩივრების წესი,

რადგანაც საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება უნდა გასაჩივრებულიყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

2. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

მოთხოვნა - ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

საჩივრის შინაარსი - 2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლებმა მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას საჩივრით და მოითხოვეს ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის დავალდებულება გასცეს ინფორმაცია გადმოსცა თუ არა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო (გასამხედროებული) ძალების და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეების სია 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან ერთი კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 21 სექტემბრის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საჩივარი და მიიღო განკარგულება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ვინაიდან, დარღვეული იყო გასაჩივრების წესი, რადგანაც საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება უნდა გასაჩივრებულიყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

3. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

მოთხოვნა - ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლიოს 19 სექტემბრის №15 განკარგულების ბათილად ცნობა.

საჩივრის შინაარსი - 2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელმა მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების „საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ“ ბათილად ცნობა. №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 26 აგვისტოს განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო. საარჩევნო კანომდებლობის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველად რჩება.

უმაღლესი საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 21 სექტემბრის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საჩივარი და მიიღო განკარგულება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე ვინაიდან, დარღვეული იყო გასაჩივრების წესი.

საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული იქნა 30 საჩივარი, რომელთაგან დაკმაყოფილდა 2 საჩივარი, მათ შორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების გამო ბათილად იქნა ცნობილი ერთი საარჩევნო უბნის შედეგები. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 4 საჩივარი. საოლქო საარჩევნო კომისიებმა განკარგულებით განუხილველი დატოვეს 2 საჩივარი, ხოლო უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა 22 საჩივარი. საუბნო საარჩევნო კომისიებში შევიდა სულ 112 საჩივარი, კანონმდებლობით დადგენილი წესით 45 საჩივარი განხილული იქნა და მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ და ადგილზევე აღმოფხვრილი იქნა არსებული ხარვეზები, ხოლო დარჩენილი საჩივრები წარდგენილი იქნა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რომელთაგან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ 31 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 36 საჩივარი დარჩა განუხილველი, ამათგან 20 საჩივარი გათხოვილი იქნა საჩივრის ავტორთა მიერ.

<u>№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია.</u>

1. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - წინასაარჩევნო აგიტაციაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის მიღება.

მოთხოვნა - დამრღვევი პირების მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენება.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი – გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები შეიქმნა კანონის უხეში დარღვევით.

მოთხოვნა - ბათილად იქნეს ცნობილი №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 15 სექტემბრის განკარგულება და გაუქმდეს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები.

გადაწყვეტილება - საჩივარი დარჩა განუხილველი გასაჩევრების ვადისა და წესის დარღვევის გამო.

3. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

მოთხოვნა - ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15 განკარგულების ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი დარჩა განუხილველი გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო.

4. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით.

მოთხოვნა - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის №17, №22, №49 უბნებში ბიულეტენების ხელახლა გადათვლა და კომისიის თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

5. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის №41 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება.

მოთხოვნა - უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

6. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით.

მოთხოვნა - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის №63 უბნის მაჟორიტარული ბიულეტენების ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

7. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

შინაარსი - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება.

მოთხოვნა - უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო

აღნიშნული საჩივრების გარდა, №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში შემავალ უბნებზე შეტანილი იქნა 70 საჩივარი, რომელთაგანაც 29 საჩივარზე მოხდა

რეაგირება ადგილზე და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, ხოლო 41 საჩივარი განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიამ. საჩივრები ძირითადად ეხებოდა კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცედურულ დარღვევებს. აღნიშნული საჩივრებიდან 5 არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, ხოლო 36 განუხილველად იქნა დატოვებული გასაჩივრების წესის და ვადის დარღვევის მოთხოვნის არარსებობის, არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანის და საჩივრის გამოხმობის გამო. საჩივრის შემტანთა მიერ გამოხმობილი იქნა 20 საჩივარი.

აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით სასამართლო წარმოება არ განხორციელებულა.

<u>ქედის №80 საოლქო საარჩევნო კომისია.</u>

1. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - ბიულეტენის ბლოკნოტების შეკვრაში იყო დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ბიულეტენები და ხმის დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები.

მოთხოვნა - №80 ქედის საარჩევნო ოლქის №1, №2, №18 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - ბიულეტენის ბლოკნოტების შეკვრაში იყო დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები ბიულეტენები, ხმის დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები, დაირღვა კენჭისყრის ფარულობა, ამომრჩეველზე მიმდინარეობდა ზეწოლა, კენჭისყრის უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საარჩევნო აგიტაცია, ამომრჩეველთა მოსყიდვა, მიმდინარეობდა არჩევნების გაყალბება, საკონტროლო ფურცელი არ იყო შევსებული სათანადო წესით, ასევე არ იყო დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია.

მოთხოვნა - №80 ქედის საარჩევნო ოლქის №1, №2, №6, №7. №8, №9, №10,№18, №21, №23, №24 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ შეტანილი იქნა შესაბამისი საჩივარი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, ამავე სასამართლოს მიერ გაერთიანებული იქნა ორივე საჩივარი და საქმე განხილული იქნა ერთ წარმოებად. სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული

უსაფუძვლობის გამო. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული საჩივარი და ძალაში დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

№80 ქედის საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა 3 საჩივარი, კენჭისყრის, ხმისმიცემისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებით, აღნიშნული საჩივრები განხილული იქნა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ და უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა. მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრდა ზემოთ აღნიშნულ საჩივრებთან ერთად საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>№81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია.</u>

1. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საარჩევნო წარმომადგენელი.
შინაარსი - კენჭისყრის პროცედურების დარღვევა, კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
მოთხოვნა - კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2. საჩივრის ავტორი - პ/გ „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.
შინაარსი - კენჭისყრის პროცედურების დარღვევა.
მოთხოვნა - კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

3. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „თავისუფალი არჩევანი სამოქალაქო საზოგადოების“ წარმომადგენელი.
შინაარსი - კენჭისყრის პროცედურების დარღვევა, კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
მოთხოვნა - კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

4. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.
მოთხოვნა - კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

5. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წარმომადგენელი.

შინაარსი - ხმის დათვლის პროცედურების დარღვევა.

მოთხოვნა - კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

6. საჩივრის ავტორი - პ/გ „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.

შინაარსი - ხმის დათვლის პროცედურების დარღვევა.

მოთხოვნა - კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოხდა ბიულეტენების ხელახლა გადათვლა.

7. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენელი.

შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.

მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეტანილი იქნა ცვლილება შემაჯამებელ ოქმში.

8. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენელი.

შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.

მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეტანილი იქნა ცვლილება შემაჯამებელ ოქმში.

9. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენელი.

შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.

მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეტანილი იქნა ცვლილება შემაჯამებელ ოქმში.

10. საჩივრის ავტორი პ/გ - „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.

შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.

მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

11. საჩივრის ავტორი პ/გ „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.
შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.
მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

12. საჩივრის ავტორი პ/გ - „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.
შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.
მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

13. საჩივრის ავტორი პ/გ - „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.
შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.
მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

14. საჩივრის ავტორი - პ/გ „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.
შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.
მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

15. საჩივრის ავტორი - პ/გ „შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტია“ წარმომადგენელი.
შინაარსი - შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურის დარღვევა.
მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების ბათილობა.
გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ განხილულ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო წარმოება არ განხორციელებულა.

№81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა 35 საჩივარი, კენჭისყრის, ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებით, რომელთაგანაც 15 აღმოიფხვრა ადგილზე, ხოლო 20 არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>შუახევის №82 საოლქო საარჩევნო კომისია.</u>

1. საჩივრის ავტორი - ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია“ წარმომადგენელი.

საჩივრის შინაარსი - საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების შედგენის წესის დარღვევა, ამომრჩევლებზე ზეწოლა, საარჩევნო აგიტაციის წესის დარღვევა.

მოთხოვნა - №82 შუახევის საარჩევნო ოლქის №2, 3, 9, 12, 13, 14, 18, 20, 22, 24, 25, 29, 34, 37, 39, 40, 41, 42, 44, 47 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელი.

შინაარსი - ამომრჩევლებზე ზეწოლა, ხმის მიცემის პროცედურების დარღვევა, საარჩევნო ბიულეტენების არასწორად გადათვლა.

მოთხოვნა - №3 საარჩევნო უბნის ბათილი ბიულეტენების ხელახალ გადათვლას.

გადაწვეტილება - საჩივარი დაკმაყოფილდა.

№82 შუახევის საარჩევნო ოლქში შემავალ უბნებზე შეტანილი იქნა მხოლოდ 2 საჩივარი, კენჭისყრის პროცედურების დარღვევასთან დაკავშირებით რაც ადგილზე იქნა აღმოფხვრილი. აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით სასამართლო წარმოება არ განხორციელებულა.

<u>ხელვაჩაურის №83 საოლქო საარჩევნო კომისია.</u>

1. საჩივრის ავტორი - დამკვირვებელი ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენელი.

შინაარსი - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ თავიანთი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება.

მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების გატარება.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

2. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ “ წარმომადგენელი.

შინაარსი - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ თავიანთი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება.

მოთხოვნა - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიმართ დისციპლინარული ღონისძიების გატარება.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ განხილულ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო წარმოება არ განხორციელებულა.

№83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა 5 საჩივარი, კენჭისყრის, ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც აღმოიფხვრა ადგილზე აღნიშნულ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>ხულოს №84 საოლქო საარჩევნო კომისია.</u>

1. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ “ წარმომადგენელი.

შინაარსი - შემაჯამებელ ოქმების შედგენის წესის დარღვევასთან დაკავშირებით.

მოთხოვნა - №10,15,33 საარჩევნო უბნების შედეგების ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა №33 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგები.

2. საჩივრის ავტორი - საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ “ წარმომადგენელი.

შინაარსი - შემაჯამებელ ოქმების შედგენის წესის დარღვევასთან დაკავშირებით.

მოთხოვნა - №84 ხულოს საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნების №2, 5, 9, 12, 15, 17, 18, 22, 23, 24, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 50, 52 კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილება - საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

№84 ხულოს საარჩევნო ოლქში შემავალ უბნებზე საჩივრები არ დაფიქსირებულა, აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით სასამართლო წარმოება არ განხორციელებულა.

საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა გამო სასამართლოში წარიმართა 2 საჩივარი საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენელების მიერ, კერძოდ №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებზე, რაც გასაჩივრებული იქნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში. სასამართლოს მიერ გაერთიანებული იქნა ორივე საჩივარი და საქმე განხილული იქნა ერთ წარმოებად. რაიონული სასაართლოს მიერ სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული

უსაფუძვლობის გამო. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული საჩივარი და ძალაში დატოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

საორგანიზაციო სამსახური

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად საორგანიზაციო სამსახური მუშაობდა უსკოს რეგლამენტის, დადგენილებების და განკარგულებების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, უმაღლესი საბჭოს არჩევნების პარალელურად იმართებოდა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია აქტიურ ურთიერთობაში იყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა ცესკოსა და უსკოს ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, შეხვედრის მონაწილეებმა 2012 წლის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების პროცესი განიხილეს და იმსჯელეს ლოჯისტიკურ და ტექნიკურ საკითხებზე, იმისათვის, რომ არ შექმნილიყო, სამართლებრივი თუ ტექნიკური ხარვეზები ორი არჩევნების ერთდროულად ჩატარებისას. კომისიებმა განიხილეს ასევე ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფორმები სამუშაო პროცესისათვის, ასევე განხილული იქნა სხვა ტექნიკური და სამართლებრივი საკითხები და დაიგეგმა მათი დარეგულირებისათვის შემდგომი ქმედებები.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთდროულად ტარდება საერთო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, აქედან გამომდინარე უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა არ მომხდარა. შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს არჩევნები გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ოლქებისა და უბნების მეშვეობით.

საორგანიზაციო სამსახური აქტიურად იყო ჩართული ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად საარჩევნო უბნების შექმნაში. საორგანიზაციო სამსახურის მიერ, ცესკოს შესაბამის სამსახურებთან ერთად, შეგროვდა არჩევნების ჩასატარებლად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და საჭირო დაფინანსების მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ: დაზუსტდა და აღირიცხა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ინვენტარის რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა.

საოლქო საარჩევნო კომისიების მდგომარეობა და არჩევნებისათვის მზადყოფნა. დაზუსტდა საარჩევნო უბნების საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები.

საორგანიზაციო სამსახურის თანამშრომლების მიერ გაკეთდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის (13 წევრიანი) კომპიუტერული ბაზა (სახელი, გვარი, ტელეფონი, დამნიშნავი სუბიექტი და ა.შ). შეგროვდა საოლქო საარჩევნო კომისიებში კვალიფიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია, საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეულ/დანიშნულ წევრთა რაოდენობისა და მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა საუბნო საარჩევნო კომისიების კომპიუტერული ბაზა (უბნის მისამართი, ტელეფონი, კომისიის შემადგენლობა დამნიშნავი სუბიექტის მითითებით სულ 4 563 წევრის მონაცემი).

მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიებისგან ყოველდღიური ინფორმაციის მიღება უბნების შექმნის, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის, პირველი სხდომების გამართვის, კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ და ა.შ.

საოლქო საარჩევნო კომისიებთან კიდევ ერთხელ გადამოწმდა და დაზუსტდა საუბნო საარჩევნო კომისიების სამოქმედო ტერიტორია (საზღვრები). საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ის უბნები რომლებშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 1500-ზე მეტი იყო, დაიყვანეს 1500 ამომრჩევლამდე, რის გამოც დამატებით შეიქმნა 2 (ორი) საარჩევნო უბანი №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში.

უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების გამართვა უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილ 6 საარჩევნო ოლქისა და 351 საარჩევნო უბნის მეშვეობით, მათ შორის იყო 4 (ოთხი) გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბანი №79 ბათუმის ოლქში.

<u>ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ყოველ საარჩევნო ოლქში:</u>

ოლქის დასახელება და №	უბნების რაოდენობა	ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ ოლქში
№79 ბათუმი	108	133951
№80 ქედა	31	15 751
№81 ქობულეთი	65	69 239
№82 შუახევი	49	15 157

№83 ხელვაჩაური	44	46 597
№84 ხულო	54	24 235

ამომრჩეველთა რაოდენობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეადგინა 304 930 ამომრჩეველი.

იმ საუბნო საარჩევნო კომისიებში სადაც ტექნიკურად შესაძლებელი იყო დაიდგა ფაქსის აპარატები, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები ხელმოწერისთანავე იგზავნებოდა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში.

გამოქვეყნდა იმ შენობების ჩამონათვალი, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოების მიერ გამოიყო მასობრივი საარჩევნო ღონისძიებებისა და სააგიტაციო შეხვედრების ჩასატარებლად.

მოხდა საარჩევნო ოლქების ინფორმირება საარჩევნო ბიულეტინების ბეჭდვის შესახებ და სტამბაში ბეჭდვის პროცესის მეთვალყურეობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ - შესაბამისად, შეიქმნა ბიულეტინების ბეჭედვაზე დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა ბიულეტინების ბეჭდვის პროცესს.

დაიბეჭდა და ოლქებსა და უბნებს გადაეცა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.

საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვრა რაოდენობები და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ:

- საარჩევნო ბიულეტენები;
- კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები; (მაჟორიტარული, პროპორციული);
- პარტიული და მაჟორიტარ კანდიდატთა სიები;
- უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შეძენილი იქნა საარჩევნო კაბინები, ქსეროქსისა და ფაქსის აპარატები, რომლებიც ასევე გადაეცათ საოლქო საარჩევნო კომისიებს.

საარჩევნო ოლქებს, აგრეთვე გადაეცათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმა და სამართლებრივი აქტები, რომელიც ეხებოდა ოლქსა და უბანს. გარდა ამისა, საარჩევნო კანონმდებლობის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის შესაბამისად, საორგანიზაციო სამსახურის თანამშრომლები ასრულებენ ყოველდღიურ სამუშაოს – უმაღლეს საარჩევნო კომისიასა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს შორის ინფორმაციის მიღება-გადაცემას.

კენჭისყრის დღეს მიმდინარეობდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ და უბნებზე არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, 12, 17 და 20 საათისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ და დაუყოვნებლივ მიეწოდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს უსკოს ვებ-გვერდზე განთავსებისათვის და დაინტერესებული პირისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებას, აგრეთვე, ორგანიზება გაუკეთდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან საუბნო და საოლქო სააარჩევნო კომისიებში შესული ყველა სახის განცხადება/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების (განკარგულებების) გადმოგზავნას და მიღებისთანავე იურიდიული სამსახურისათვის გადაცემას.

უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 184 310 ამომრჩეველმა.

საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმთა რაოდენობამ შეადგინა 178 905 ხმა.
გაუქმდა №84 ხულოს საარჩევნო ოლქის №33 საარჩევნო უბნის კენჭისყის შედეგები.

ეკონომიკური სამსახური

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 01 ოქტომბრის არჩევნების გამოცხადებისთანავე ეკონომიკურმა სამსახურმა უზრუნველყო არჩევნების ჩატარებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

ეკონომიკური სამსახურის მიერ, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა სამსახურებთან ერთად შემუშავებული და შემდგომ უმაღლეს საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილი იქნა რიგი დადგენილებების და განკარგულებების პროექტები არჩევნების ფინანსური საკითხების უზრუნველყოფის მიზნით - კერძოდ:

2012 წლის 03 აგვისტოს №3 დადგენილების პროექტი - უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ.

2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილების პროექტი, საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის

დამტკიცების შესახებ. აღნიშნული დადგენილებით საოლქო საარჩევნო კომისიებს განესაზღვრათ გადაზიდვისათვის ხარჯების თანხა.

2012 წლის 15 სექტემბრის №12 დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ.

2012 წლის 03 აგვისტოს №9 განკარგულების პროექტი, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული განკარგულებით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის არჩევნების პერიოდში განისაზღვრა გასაცემი დანამატის ოდენობა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 886 934 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურების ხარჯი _ 437 515 ლარი;

საქონელი და მომსახურების ხარჯი _ 414 813 ლარი;

არაფინანსური აქტივების ხარჯი _ 34 606 ლარი.

არჩევნების ღონისძიების სრულყოფისათვის გაფორმებული იქნა 49 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის საქონელისა და მომსახურების შეძენის მიზნით.

არჩევნების ღონისძიების განხორციელებისათვის ჩატარებული იქნა ორი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი:

1) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის 380 ცალი მულტიფუნქციური პრინტერების შეძენისათვის, საერთო თანხით 90 440 ლარის;

2) უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლებისათვის შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა 23 400 ლარის.

შეძენილი იქნა 800 ცალი საარჩევნო კაბინა საერთო თანხით 78 400 ლარის, დამზადდა და შეძენილი იქნა ასევე 18 050 ლარის ოთხი საინფორმაციო ვიდეო რგოლი, საინფორმაციო ვიდეო რგოლების გავრცელების მომსახურებაზე კი გაწეული იქნა 10 644 ლარის ხარჯი.

საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებისათვის ყველა სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო:
- საზოგადოების ინფორმირება არჩევნების და საარჩევნო პროცედურების შესახებ;
- სარეკლამო კამპანია;
- მედიასთან ურთიერთობა;
- უსკოს ვებ-გვერდის განახლება;

ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით სხვადასხვა სახის ღონისძიებები დაიგეგმა. მომზადდა სოციალური-საინფორმაციო ტიპის 4 სატელევიზიო რეკლამა, ასევე დამზადდა საინფორმაციო ფლაერები ამომრჩეველთათვის, საინფორმაციო რეკლამები განთავსდა რეგიონის ტელევიზიებში, კერძოდ აჭარის ტელევიზიასა და ტელეკომპანია ,,TV-25''-ზე, ასევე განთავსდა უსკოს ვებ-გვერდზე.

<u>რეკლამები:</u>
1. ინფორმაცია არჩევნების შესახებ;
2. კენჭისყრის დღის პროცედურები;
3. კენჭისყრის შემდგომი პროცედურები;
4. ადმინისტრაციული რესურსის აკრძალვა.

<u>საინფორმაციო ფლაერი:</u> - სულ დამზადდა 17000 ცალი საინფორმაციო ფლაერი, რომელიც შეიცავდა სრულ ინფორმაციას 2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და კენჭისყრის პროცედურების შესახებ.

საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირების მიზნით უსკოში მიმდინარე პროცესების შესახებ მზადდებოდა პრეს-რელიზები, რომელიც ქვეყნდებოდა უსკოს ვებ-გვერდზე.

<u>სხდომები</u> - საარჩევნო პერიოდში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მომზადებული მედია-რელიზების საშუალებით საზოგადოებას აცნობდა სხდომებზე განხილულ თემებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს. უმაღლესი საარჩევნო კომისიის ყველა სხდომა საჯაროა. მასზე უსკო იწვევს პრესისა და მედიის საშუალებებს, საარჩევნო სუბიექტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

<u>ბრიფინგები</u> - წინა საარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების შემდგომ პერიოდში უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ორგანიზება გაუწია რამდენიმე ათეულ ბრიფინგს.

<u>განახლებული ვებ-გვერდი</u> - განახლებული ვებ-გვერდის პრეზენტაზია შედგა წინასაარჩევნო პერიოდში, შეიცვალა გვერდის დიზაინი და სტრუქტურა, გამარტივდა საძიებო სისტემა, რომელიც ამომრჩეველს და ყველა დაინტერესებულ პირს, სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალურად იოლად მოიძიოს სასურველი ინფორმაცია. განახლდა ვებ-გვერდის ტექნიკური ბაზაც, რაც მომხმარებელს საიტიდან ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას შეფერხების გარეშე აძლევს.

<u>მედია მონიტორინგი</u> - უსკოს ინიციატივით საინფორმაციო ანალიტიკური კომპანია „ტერა მედია“ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის აწარმოებდა ტელე-მონიტორინგს და უსკოს აწოდებდა მასალას ქართულ ტელე არხებზე საარჩევნო თემატიკაზე გასული სიუჟეტების შესახებ.

<u>შეხვედრები</u> - წინასაარჩევნო პერიოდში უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა მოინახულეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, შეხვდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს და გაეცნენ ოლქში და უბნებში არსებულ მდგომარეობას. ასევე კომისიის თავმჯდომარე და მდივანი შეხვდნენ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) გრძელვადიან წარმომადგენლებს. შეხვედრებზე ისაუბრეს და განიხილეს უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მზადების პროცესებზე და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

<u>აკრედიტაცია</u> - უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ განახორციელა პრესისა და მედია საშუალებების აკრედიტაცია უსკოს მდივნის განკარგულებით 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის. რეგისტრაციაში გატარდა „TV- 25“-ის 15 წარმომადგენელი, „მეცხრე არხი ინფოს“ 41 წარმომადგენელი და „გაზეთი აჭარა და ადჯარიას“ 4 წარმომადგენელი. (სულ 60 პრესისა და მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენელი).

<u>ადგილობრივი დამკვირვებლების რეგისტრაცია</u> - უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია „მოდუს ვივენდი“, რომელმაც უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოს მდივნის განკარგულებით დანიშნა (რეგისტრაციაში გატარდა) 188 დამკვირვებელი.

უსკოს მდივნის განკარგულებით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებლები დანიშნეს ცესკოში რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა:

„სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“ - 9 დამკვირვებელი;

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ - 49 დამკვირვებელი;

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ - 6 დამკვირვებელი;

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ – 122 დამკვირვებელი.

სულ დარეგისტრირდა 374 ადგილობრივი დაკვირვებელი, მათ შორის 186 დამკვირვებელი დანიშნული იყო მხოლოდ უსკოში, ხოლო 188 დამკვირვებელი დაკვირვებას ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე.

<u>ტრენინგები</u> - კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გაიარა ტრენინგები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მედია ტრენინგი) და ასევე ბრიჯის კურსები, რომელიც 2012 წელს ორჯერ ჩატარდა ბათუმში, სასტუმრო შერატონში. ასევე უსკოს კომპიუტერულმა სამსახურმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგ სწავლებებში, რომელიც გაიმართა ბათუმში.

<u>არჩევნების დღე</u> - უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაგეგმა და ორგანიზება გაუწია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას. კერძოდ, კენჭისყრის დღეს მოეწყო ბრიფინგები - 12 საათსა და 17 საათზე, რომელზეც უსკოს თავმჯდომარემ საზოგადოებას მიაწოდა სრული ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. ხოლო 21 საათზე თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი ბრიფინგი და საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია 2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა სრული რაოდენობისა და კენჭისყრის მიმდინარეობის შესახებ.

<u>ინფორმაციის საჯაროობა</u> - უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 200-მდე მოთხოვნილი ინფორმაცია სატელეფონო, ელექტრონული თუ სოციალური ქსელის საშუალებით. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო საზოგადოების ინფორმირება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის სავალდებულო ინფორმაციის პრესით გამოქვეყნების ჩათვლით.

<u>საკადრო სამსახური</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის საკადრო სამსახურში 2012 წლის არჩევნების გამოცხადების მომენტისათვის ირიცხებოდა კომისიის 6 წევრი და აპარატის 15 თანამშრომელი, ამასთანავე აპარატი შედგებოდა 6 სამსახურისაგან, საერთო, იურიდიული, საორგანიზაციო, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეკონომიური და საკადრო სამსახური. სულ 9 მამაკაცი, 12 ქალი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 2012 წლის 3 აგვისტოს მიიღო №8 განკარგულება კომისიის წევრებისა და შტატგარეშე მოსამსახურეების სახელფასო განაკვეთისა და რაოდენობის განსაზღვრის შესახებ - რაც შეეხება შტატგარეშე მოსამსახურეების უფლებამოსილების ვადას, იგი განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან სამი თვის ვადით, ხოლო პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთა უფლებამოსილება განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნიდან ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას დაემატა 7 კომისიის წევრი, რომლებსაც საარჩევნო პერიოდში ნიშნავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, ესენია - პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“, პოლიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. ამგვარად, 2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით უმაღლეს საარჩევნო კომისია შედგებოდა 13 წევრისაგან, მათ შორის 4 ქალი, 9 მამაკაცი.

2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სამართლიანი და ტექნიკურად გამართული მუშაობისათვის კომისიაში შეიქმნა კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან სამი თვის ვადით.

უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ 18 პირთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება და ისინი სხვადასხვა სამსახურში შემდეგნაირად გადანაწილდნენ: საერთო სამსახურს დაემატა 3 სპეციალისტი, იურიდიულ სამსახურს 1, საორგანიზაციო სამსახურს 3, ეკონომიურ სამსახურს 3, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს 1, საკადრო სამსახურს 1 სპეციალისტი. ამასთანავე კომისიას დაემატა 2 შტატგარეშე დამხმარე მოსამსახურე - 1 კურიერი და 1 დამლაგებელი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან სამი თვის ვადით შექმნილი კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებით სამსახური დაკომპლექტდა სამსახურის უფროსითა და 3 სპეციალისტით.

კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური

2012 წლის 1 ოქტომბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნებისათვის, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 31 ივლისის №2 დადგენილებით უსკოს აპარატში შეიქმნა კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური, რომლის უფლებამოსილებაც განისაზღვრა 2012 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამოცხადებიდან 3 თვის ვადით.

კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური შეიქმნა იმ მიზნით, რომ არჩევნების პერიოდში უზუნველეყოფილიყო კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა, მოეხდინა უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიური განახლება, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და საჭირო შემთხვევაში მათი მოდიფიცირებაც, არჩევნების შედეგების უსკოს ვებ-გვერდზე განთავსება.

კომპიუტერული უზრუნველყოფის დრობითმა სამსახურმა არჩევნების პერიოდში უზრუნველყო კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა.

სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყო კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება და კომპიუტერულ დამუშავება.

შექმნა კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, ახდენდა არსებული მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და მოდიფიცირებას.

მოამზადა საარჩევნო დოკუმენტაციის სხვადასხვა ფორმების და ნიმუშების კომპიუტერული დამუშავება.

აიწყო და გაიმართა არჩევნების შედეგების ვებ-გვერდზე გამოტანის სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალეობას.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებიდან, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღებისთანავე, ხდებოდა მათი სკანირება და უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთვა, პარალელურად კი მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამის მეშვეობით მონაცემების დამუშავება და უსკოს ვებ-გვერდის შედეგების ველში მათი განთავსება.

უსკოს ვებ-გვერდზე ატვირთული კენჭისყრის შედეგები ავტომატურ რეჟიმში პროექტორის მეშვეობით გადაიცემოდა ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ადმინისტრაციულ შენობაში ხმების

წინასწარი დათვლის პროცესისათვის უშუალოდ ედევნებინა თვალყური ან გაცნობოდა უსკოს ვებგვერდის მეშვეობით.

საუბნო საარჩევნო კომიისიებიდან შემოსული კენჭისყრის შედეგების ოქმების მონაცემების შეტანა ხდებოდა უწყვეტ რეჟიმში მის დასრულებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ამგვარმა ორგანიზაციამ, უზრუნველყო არჩევნების წინასწარი შედეგების გაცილებით უფრო სწრაფი, გამჭვირვალე და ეფექტური დამუშავება.